

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
ministry of environment and natural resources protection of georgia



**გარემოს ეროვნული სააგენტო**  
**NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY**



KARR0146688128315

დ. აღმაშენებლის გამზ. 150, 0112, თბილისი, საქართველო  
150 D. AGMASHENBELI AVE., 0112, TBILISI. GEORGIA  
Web www.meteo.gov.ge

Tel.: +995 32 2439502 Fax: +995 32 2439503  
E-mail: info@meteo.gov.ge

# 21/5971

23 / ივლისი /  
2015 წ.

ააიპ 'საქართველოს რეფორმების ასოციაცი'-ის  
დირექტორის მოადგილეს  
პაატა გაფრინდაშვილს (თბილისი, მიცკევიჩის  
ქუჩა #27, ბინა #1)

ბატონო პაატა,

თქვენ მიერ, ამა წლის 20 ივლისს გამოგზავნილი N7502 წერილის პასუხად, გაწვდით ინფორმაციას საქართველოში არსებული მეტეოროლოგიური სადგურების შესახებ:

საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების და საგუშაგოების რაოდენობის ცვლილების დინამიკა მოცემულია ნახაზზე (იხ. დანართი);

- სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების დახმარებით (მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO), კლიმატის ადაპტაციის ფონდი, აშშ, კანადა, ფინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი) მეტეოროლოგიური სადგურების და საგუშაგოების აღდგენა და ახლების გახსნის პროცესი ძირითადად დაიწყო 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან;

- გარემოს ეროვნულ სააგენტოში არსებული მეტეოროლოგიური სადგურები და საგუშაგოები ძირითადად აღჭურვილია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად;

- გარემოს ეროვნული სააგენტო არ ფლობს არცერთ მეტეოროლოგიურ რადარს. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირება 3 ერთეული მეტეოროლოგიური რადარი (სოხუმში, ბათუმში, თბილისში), რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფდა საქართველოს მთელი ტერიტორიის რადარული ინფორმაციით გაშუქებას. აღნიშნული სახეობის დაკვირვებები შეწყვეტილია 90-იანი წლების დასაწყისიდან;

- მდინარის აუზში უკვე მოსული ნალექის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, მდინარეში წყლის დონის მომატების პროგნოზირების წინსწრების პერიოდი დამოკიდებულია მდინარის სიგრძეზე, მოსული ნალექის ლოკაციაზე, ნიადაგის მახასიათებლებზე და სხვა ფაქტორებზე. სხვა საკითხია, რამდენად შესაძლებელია შესაძლო ნალექების რაოდენობის წინასწარი პროგნოზირება. მეტეოროლოგიური რადარები იძლევა საშუალებას 1-2 საათის წინსწრებით მაღალი ალბათობით განისაზღვროს საწვიმარი ღრუბლებიდან მოსული შესაძლო ნალექების რაოდენობა, მისი ინტენსივობა და ნალექების მოსვლის არეალი. ამ მონაცემების საფუძველზე გარკვეული ალბათობით შეიძლება მდინარის სხვადასხვა კვეთში პროგნოზირებულ იქნას მისი წყლიანობა;

- ამინდზე დაკვირვება წარმოებს სხვადასხვა სახის სადამკვირვებლო პუნქტებზე: არაავტომატიზებულ მეტეოროლოგიურ სადგურებზე მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე (ატმოსფერული წნევა, ჰაერის და ნიადაგის ტემპერატურა და სინოტივე, მოსული ნალექების რაოდენობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება და სხვა)

დაკვირვებები წარმოებს დღეღამურ რეჟიმში ყოველ 3 საათში ერთხელ, ხოლო ავტომატურ სადგურებზე იგივე პარამეტრები იზომება ყოველ 1 საათში ერთხელ. მეტეოროლოგიურ საგუშაგოებზე იზომება მხოლოდ ნალექების რაოდენობა და ჰაერის ტემპერატურა - არავტომატიზებულ საგუშაგოებზე დღე-ღამეში 2-ჯერ და ავტომატიზებულ საგუშაგოებზე დღე-ღამის განმავლობაში ყოველ 1 საათში ერთხელ. აეროლოგიურ სადგურებზე, რადიოზონდების მეშვეობით ატმოსფეროს მაღალ ფენებში, სხვადასხვა სიმაღლეზე (დედამიწის ზედაპირიდან საშუალოდ 30 კმ სიმაღლემდე) იზომება ატმოსფერული წნევა, ჰაერის ტემპერატურა და სინოტივე და ქარის სიჩქარე და მიმართულება) დღე-ღამეში მაქსიმუმ 4-ჯერ (გრინვიჩის დროით 00, 06, 12 და 18 საათებზე, რადარების მეშვეობით, რადარის ხედვის არეში (რადარიდან დაახლოებით 200 კმ-ის) იზომება ღრუბლების ფიზიკური მახასიათებლები (ღრუბლის წყლიანობა, გადაადგილების მიმართულება და სიჩქარე და სხვა). ამინდზე დაკვირვებები წარმოებს აგრეთვე დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე, თვითმფრინავებზე, გემებზე და სხვა სახის პლატფორმებზე დამონტაჟებული სადამკვირვებლო ხელსაწყოების მეშვეობით;

- გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 12 ივნისს გაცემული იყო გაფრთხილება საქართველოს ტერიტორიაზე ზოგან შესაძლო ძლიერი ნალექების, სეტყვის, ქარის შვეალური გამლიერების და ცალკეულ მდინარეებზე ღვარცოფული ნაკადების ფორმირების შესახებ. სამწუხაროდ, სააგენტოს ხელთ არსებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური საშუალებები არ იძლეოდა აღნიშნული მოვლენების მოხდენის ადგილის მითითების საშუალებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის გაკეთება 1-2 საათის წინსწრებით შესაძლებელი იყო სათანადო ტექნიკურ-ტექნოლოგიური შესაძლებლობების მქონე მეტეოროლოგიური რადარის ფლობის შემთხვევაში;

აღსანიშნავია ისიც, რომ მდ. ვერეს აუზში გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების არცერთი პუნქტი. 13-14 ივნისის სტიქიური მოვლენის შემდეგ მდინარის აუზში ადრეული გაფრთხილების სისტემის შესაქმნელად პირველ ეტაპზე დამონტაჟდა და გაიმართა 2 ერთეული ავტომატური ნალექზომი სოფ. ორბეთსა და სოფ. დრეში და 1 ერთეული მდინარის წყლის მზომი სოფ. ვანათთან. ახლო მომავალში დაგეგმილია ამავე აუზში დამატებით 2 ერთეული ნალექზომის და 1 ერთეული წყლის დონის მზომი ხელსაწყო დამონტაჟება და გამართვა.

იხილეთ დანართი 1 გვ.  
პატივისცემით,

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი გვარამია

დანართი:

საქართველოს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტების ცვლილების დინამიკა

